

მედიის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის როლი ქართულ
პოლიტიკურ პროცესსა და დღის წესრიგში

მეგი მამუჭაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე, საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ კორძაია, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მეგი მამუჭაძე

25 ივნისი, 2022 წელი

აბსტრაქტი

თანამედროვე, მასობრივი კომუნიკაციების განვითარებამ მსოფლიო სხვადასხვა უპირატესობებისა და გამოწვევების წინაშე დააყენა. მედია, როგორც სოციალური და ცოცხალი ინსტიტუტი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც პოლიტიკური პროცესების წარმართვასა და ჩამოყალიბებაში, აგრეთვე საზოგადოების ყოველდღიურ დამოკიდებულებებსა თუ მათი ცნობიერების ფორმირებაზე, ამასთანავე მედია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესებსაც¹.

აღნიშნული კვლევის მიზანია განიხილოს და წარმოაჩინოს მედიის, როგორც მეოთხე ხელისუფლებისა და დემოკრატიული ინსტიტუტის როლი, მისი მნიშვნელობა, დანიშნულება და არსი თანამედროვე სამყაროში. საკვლევ საკითხს წარმოადგენს, ასევე მედიის გავლენა საზოგადოების ცნობიერებასა და დემოკრატიის დამკვიდრებასა თუ მის შენარჩუნებაში.

კვლევის პროცესში „გამოაშკარავებული“ იქნა მედიის გავლენა პოლიტიკური პროცესებისა და დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, ვინაიდან, მედია, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს პლურალისტული საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა, ჩამოყალიბებაში.

აღნიშნული კვლევა განიხილავს და აჯამებს მედიის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტისა და პოლიტიკური პროცესების განსაკუთრებული მონაწილის აქტუალობის საკითხსა და პრაქტიკაში არსებულ ხარვეზების, მათი გადაჭრის ალტერნატიულ გზებს. კვლევის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა და ნათელი გახდა პოლიტიკური ინტერესებით ნაკარნახევი მედია საშუალებების გავლენა სოციალურ, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში. საკითხის ამგვარი აქტუალობიდან თუ სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი და აუცილებელია მედიის დემოკრატიულ

¹ მეგი მამუჭაძე, „მედიის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის როლი ქართულ პოლიტიკურ პროცესსა და დღის წესრიგში“ (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 27.01.2022).

სტანდარტებში მოქცევა, მისი დაცვა და განვითარება, თუნდაც გამოხატვის თავისუფლების არსიდან გამომდინარე. ვინაიდან არსებობს რეალური საფრთხე და მაღალი რისკები იმისა, რომ მოხდეს მედიის, როგორც ცოცხალი ინსტიტუტისა და „იარაღის“ მიზნობრივი გამოყენება ხელისუფლების მხრიდან, გასაკუთრებით მაშინ, როდესაც კიდევ უფრო გააქტიურდა და თანამედროვე ადამიანის განუყოფელ ნაწილად იქცა მედია და ინფორმაციული საშუალებები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გამოხატვის თავისუფლება, მედია, დემოკრატიული ინსტიტუტი, მედიის გავლენა.

Abstract

In the century of development of modern mass communications, the world faced various advantages and challenges. Media, as a social and living institution, plays a significant role both in directing and forming of political processes, and in daily attitudes of society and the formation of their consciousness; moreover, the media significantly contributes to informationally updated, well informed decision-making processes.

The purpose of the below research is to discuss and define the role of the media as the fourth power and democratic institution, its significance, purpose and essence in the modern world. Furthermore, the topic of the research is to study the influence of the media on public awareness and the establishment or maintenance of democracy.

In the course of the research process, the influence of the media in the formation of political processes and agenda was "revealed", especially during the pre-election period, since the media, as a democratic institution, plays a significant role in the formation and establishment of a pluralistic society and a legal state.

The below research analyses and summarizes the subject of relevance of media as a democratic institution and a remarkable participant in political processes as well as the alternative ways of addressing the deficiencies that exist in practice. The research analysis outlined and exposed the influence of media on society, dictated by political interests, especially during the pre-election period. Based on the importance/relevance and specificity of the subject, it is important and even necessary to bring the media into the frameworks of democratic standards, protect and develop it based on the essence of freedom of expression; since there is a substantial danger and high risks of the targeted use of the media by the government, as a living institution and "weapon", especially when the media and other informational resources have become more active and almost an integral part of modern society².

Research Keywords: freedom of expression, media, democratic institution, influence of media.

² 08030.